# რუსული საინფორმაციო ომი საქართველოში

## *დეზინფორმაციული კამპანიების სტრატეგიები, Fake News და მათი გავლენა პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაზე*

**თამარ ზასსეევი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკატერინე ჟვანია, მოწვეული ლექტორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2024**

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

*თამარ ზასსეევი*

*2024*

## აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში ინტერნეტის გლობალიზაციის პარალელურად  სოციალური ქსელებიდან მიღებული ინფორმაციის  უპირობო სანდოობის საკითხი ეჭვქვეშ დადგა. ხშირია სოციალური ქსელების გამოყენება დეზინფორმაციისა და ე.წ. Fake News-ის გავრცელების მიზნით. ამ ბერკეტს შესაძლოა სხვადასხვა აქტორები იყენებდნენ, თუმცა ყველაზე მასშტაბურად ის პოლიტიკაში გამოიყენება ისეთი ქვეყნების მიერ, რომელთათვისაც პოლიტიკური პიარი საგარეო პოლიტიკის კეთების მთავარი ინსტუმენტია. ასეთ ქვეყნების რიგებში კი რუსეთი მოწინავეა.

წინამდებარე ნაშრომის მთავარი თემაა: „რუსული საინფორმაციო ომი საქართველოში: დეზინფორმაციული კამპანიების სტრატეგიები, Fake News და მათი გავლენა პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაზე.“

ნაშრომი პასუხს სცემს შემდეგ კითხვას: „როგორ სტრატეგიებსა და ტექნიკებს იყენებს რუსეთი დეზინფორმაციისა და Fake News-ის კამპანიების წარმოებისას საქართველოში, კერძოდ  სოციალურ ქსელებში და როგორია მათი გავლენა პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაზე?“ აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად აღებულია 2022-2023 წლების დროითი შუალედი. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდები.

კვლევამ აჩვენა, რომ რუსეთი დეზინფორმაციული კამპანიების წარმოებისას ქართულ სოციალურ ქსელებში იყენებს ანტიდასავლურ რიტორიკას, მანიპულირებს საზოგადოების ფასეულობებზე, თავის სასარგებლოდ იყენებს საზოგადოებაში არსებულ შიშებს  და  სტერეოტიპებს, მუდმივად ვითარდება და ერგება დროის კონკრეტულ მომენტში პოპულარულ სოციალურ ქსელებს თემების შესაბამისად, ასევე ერგება საზოგადოებრივი აზრის ცვლილებებს. ამ ყველაფრის მიღწევას კი ის ცდილობს სოციალურ ქსელებში ფოტო და ვიდეო მანიპულაციების გავრცელებით, სლატშეიმინგით, მიმების გავრცელებით, დეზინფორმაციულ ქსელებში ჩართული ანგარიშების ახალი ამბების სააგენტოებად წარმოჩენით.

## Abstract

In the modern world, with the globalization of the internet, the trustworthiness of information received from social networks is doubted. It has become common to use social networks to manage the spread of misinformation and fake news. It can be different actors that use this tool. However, the most important are the coutries that use political PR as a main instrument in foreign policy making. Russia is the leader of similar countries.

The main topic of this paper is: "Russian Information War in Georgia: strategies of disinformation campaigns, fake news and their influence on the formation of political agenda".

The paper provides the answer of the following question: "What kind of strategies and techniques are used by Russia in the production of disinformation and fake news campaigns in Georgian social networks and how does it influence political agenda?" Qualitative research methods are used in this paper.

Research shows that Russia uses anti-Western rhetoric in Georgian social networks, manipulates with the values of the society, uses the fears of the society for its own benefit, develops and adapts to the popular social networks at the moment, adapts to the changes in the society. Russia tries to achieve all this, by spreading photo and video manipulations on social networks, slutshaming, spreading memes, presenting the accounts involved in disinformation networks as news agencies.